

221 /2
1951

საქართველოს სსრ
მთხოვებების აკადემიის
მოადგენი

მოადგენი XII, № 2

პირითაღი, ერთადი გამოცემა

1951

საქართველოს სსრ მთხოვებების აკადემიის გამომცემება
მშენებელი

მ ი ნ ა პ რ ს ი

მართვა-ტიპი

| | |
|--|-----|
| 1. ბ. წყვედელი გაე. ზოგიერთი შენიშვნა ანალიტიკურ ფუნქციათა თეორიის რიმანის წრფივი სასახლერო ამოცანის და კოშისგულიან სინგულარულ ინტეგრალურ გან-ტოლებათა შესახებ | 69 |
| გიორგიმია | |
| 2. შ. გონაშვილი. პეპსინისა და ქიმიზინის ერთობლიობის შესახებ | 77 |
| გიოლოგია | |
| 3. ი. კახაძე. შენიშვნები კვაისის რაიონის ტექტონიკის შესახებ | 85 |
| პალეოლითოლოგია | |
| 4. ნ. ბურჩაკაბრამოვიჩი. გამიალეოლითური საგვომის ფაუნა თრიალეთში . | 93 |
| 5. მ. ერისთავი. საქართველოს გრაფინული ქვესართულის ფაუნის შესახებ | 99 |
| ტექნიკა | |
| 6. ო. ონიაშვილი. დამრეცი გარსების ანგარიშისათვის თარაზულ ძალებშე | 103 |
| გორგანიკა | |
| 7. ჭ. ოდიშარია. ღასაელეო საქართველოში პალეობის ყინვაგამძლეობის საკითხი-სათვის | 111 |
| გიოლოგია | |
| 8. ჭ. ექვთიმიშვილი და ნ. ლაშპარაშვილი. ამერიკული ჭაულას (<i>Lutreola vison</i> Gray.) აკლიმატიზაციის ცდა ჭვარლის რაიონში | 117 |
| ისტორია | |
| 9. გ. მელიქიშვილი. ურარტული ლურსმული ჭარჭერის ფრაგმენტი სოფ. აჭილ-ჯევახიდან | 123 |

ମାତ୍ରାକାରିତା

CPUGEAG

“ომიერთო უნივერსა ანალიზულ ცუნდოւათა თოორის რიგის
რჩვენი სასახლებით ამოცანისა და კოშიგულიან სიგულარულ
ინტერიერულ განოღვებათა შესახებ

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ი. ვევუამ 20.10.1950)

1. ამერიკა და კანადაში შესწავლილი ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მინის წრფივი სასაზღვრო მოცავა და მა ამოცანასთან დაკავშირებული ერთი კლასის სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორია [1].

საჭიროა აღნიშვნის, რომ როგორც რიმანის მიკუნის, ისე სინგულარული ინტეგრალური განტოლების შესწავლა სხვადასხვა სიძლიერეთან არის დაყავშირებული, იმისდა მიხედვით, შეკრული წირებისა თუ ლია წირების შემთხვევას განვიხილავთ.

[2] ნაშრომში ჩვენ ვაჩვენეთ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც განვიხილავთ შეკრულ წირებს, რომლებიც რამებ სასრულად გმული არის საზღვარს წარმოადგენს, შეიძლება ზემოაღნიშნული ცნობილი შედეგების ზოგიერთი განზოგადება. ადვილია შემჩნევა, რომ [2] ნაშრომში გამოყენებული გზა უდრივისია ლია წირების შემთხვევაში.

წინამდებარე წერილში ჩვენ კვლავ განვიხილავთ შეკრული წირების შემთხვევას, მაგრამ [2] ნაშრომისგან განსხვავებით აյ მითითებული გზა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლია წირების შემთხვევაშიაც (ეს ნაჩენები იქნება სხვა წერილში); ამასთან ჩვენ ახლა განვიხილავთ იმ შემთხვევას, როდესაც ურთიარაგადამტკიცით შეკრული წირები ნებისმიერად არის განლაგებული სიბრტყეშე. [2] ნაშრომში სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებთან დაკავშირებული ზოგადი თეორემები (ე. წ. წერერის ორორემები) ჩვენ დავიტეკიცეთ კვლარატი ჯამში ფუნქციათა კლასში, ახლა ჩვენ იმავე თეორემებს ვამტკიცებთ ჩ ხარისხში ჯამში ფუნქციათა კლასში, სადაც ჩ ერთხე მეტი ნებისმიერი ნამდვილი რიცხვია. გარდა ამისა, როგორც ჩიმინის მოცანის სასაზღვრო პირობაში, ისე ინტეგრალური განტოლების კოეფიციენტებს შორის მონაწილე უწევიტი ფუნქციები გაცილებით უფრო ნაკლებად შემზღვდეთ პირობებს. აქმაყოფილებენ, ვიდრე ეს [2] ნაშრომშია.

2. შემდგომ C-თი აღვნიშვნათ ურთიერთობადამკვეთ მარტივ შეკრულ წირთა სიბრტყეზე ნებისმიერრად განვითარებოთ სასრულ ირთულობას.

$$C = \sum_{k=1}^m C_k.$$



·ամստան զոցուլուսեմբեթ, հռմ C_k ($k=1, \dots, m$) ֆորիս Մշեցնուն մոյր համբ մշակութ միմարտուղարկան Մշեցնուն կուռեց, հռոգորու ֆորիս Մշեցնուն պահանջուա, այմակուղութեան քոլդերիս Յօրոնձաս (H Յօրոնձաս). զոցուլուսեմբեթ, հռմ չորցու C_k ֆորիչ համբ շնութ Մշեցնուն օւազենու միմարտուղարկան. C -ս գա-
սիցրու զայրուու և օւազենու տակարդու ալցոնունու տակարդու.

Չորցատ, C -ն զանսածլցրուու սախոցառու քոմելույժուրու պահանջուա չ (t); տու ուսինյուա չ ($t(s)$) կոմաճու (սածաց $t=t(s)$ C կոնց-հուս գանցուուղարկա, s -րյա-
լուրու անցուուս տ Մշեցնունու, եռլու չ $\varphi(t(s))$)^p չամաճու, մաժոն հիցն զուրցատ, հռմ չ (t) պահանջուա զոցուցանու $L^p(C)$ կլասս. հիցն զուրցատ, հռմ չ (t) $\in L^\infty(C)$, տու $|\varphi(t)| \leq M$, զայրուան C -ն, գարճա Մշեցնու եղան նոմիս և միմարտուցան, սա-
դաც M համբ օւազենու մուգմուցա.

Մշեցնու, հռոցեսաց $n \equiv 0$, $\gamma_n(z)$ -ու օւազնունաց ու եարուսես նյեծումուր մրացալցըցրէն, եռլու տու $n < 0$, մաժոն մուցուղեթ, հռմ $\gamma_n(z) \equiv 0$.

Իհցն զուրցատ, հռմ $f(z)$ պահանջուա յէշտցուս $A_{m,p}(C)$ կլասս, տու: 1) $f(z)$ քոլոմուրուցուլու տակարդ; 2) յասածրուունամու այցես n -ուրու հոցո, յ. օ. յասածրու-
լու քոլուցու Մշեցնունու մաելունու գումարու $f(z)=O(z^n)$; 3) տոտժմու զայրուցան C -ս գասիցրու արսենուս $f(z)$ պահանջուու նուցանու $f^+(t)$ დա $f^-(t)$, հռոցեսաց շ եցնումուրու արամեցն շնութ մուսվրացուս C կոնց-ուրուս տ Մշեցնունու օւց, հռմ շ չորցուցանու մուտացեցուլու սատաճուու Հ-ս մարկենու ան մարշանու, ֆոր-
չ արկեցու դագրենու միմարտուղեթն միմարտուղեթն միմարտուղեթն միմարտու; 4) տոտժմու զայրուան C -ն գ ացուու այցես ტուունուս $S(f^+ - f^-) = f^+ + f^- + \gamma_n$, սաճաց.

$$S\varphi \equiv \frac{1}{\pi i} \int \frac{\varphi(t)dt}{t-t_0}, \quad t_0 \in C,$$

եռլու սնրյալու զանսածլցրու պահու-լուցեցու մեացարու մնութենուունուս անրուտ (օն. [3] մե [4]).

Իհցն զուրցատ, հռմ (օն. [1]) $f(z)$ պահանջուա յանց-յիշան քոլոմուրուցուլու, տու: 1) $f(z)$ քոլոմուրուցուլու տակարդ; 2) $f(z)$ -ս այցես յասածրու նուցան C կոնց-
ուրուս յայրու տ Մշեցնունու, հռոց շ եցնումուրու շնութ մուսվրացուս t -սցեն օւց, հռմ շ չորցուցանու միմարտուղեթն միմարտուղեթն միմարտուղեթն միմարտուղեթն մարկենու ան մարշանու.

Մշեցնուունու անութենան $w(\tau; \varphi) = \sup | \varphi(t(c_1)) - \varphi(t(c_2)) |$, $|c_1 - c_2| \equiv \tau \leq l$, սա-
դաც $\varphi(t)$ առս C -ն զանսածլցրու պահանջուա. Իհցն զուրցատ, հռմ $\varphi(t)$ յայրուցուս $I(C)$ կլասս, տու պահանջուա $w(\tau; \varphi) \leq \tau$ սնրյալուցունու $[0, \varepsilon]$ յացմենցուն, սաճաց ս սայ-
մուու մուրու դագրենու հուցան. օւցու յանչու ընդունու սնրյալու նուցանու մուտացանու տակարդու տակարդ, հռմուս և միմարտու յայրուցուս $I(C)$ կլասս, Շյացլուու լու. մալ նահածուս մոյր [5, 6]. օւց, նացալուու դա, մուս նահցենց այցես, հռմ տու
 $\varphi \in I(C)$, մաժոն $S\varphi$ օւազենու պահանջու տակարդու, գարճա ամուս, պահանջուունուս.

$$\varphi(z) = \frac{1}{2\pi i} \int \frac{\varphi(t)dt}{t-z} \quad (1)$$

ալցուու այցես սախուցու-մուցուունուս պահուցուլուս.

ვთქვათ, ახლა $G(t)$ რამდენ უწყვეტი ფუნქციაა C -ზე განსაზღვრული და, ვთქვათ, $(2\pi)^{-1} [\arg G(t)]_c = \chi_k$, $\{a_{k+1}\}$ $\}_{c_k}$ აღნიშნავს ფრჩხილებში მოთავსებული გამოსახულების ნაზრდს, როდესაც t დადგითი მიმართულებით ერთხელ შემოიღლის C_k -ს. რიცხვს

$$\chi = \sum_{k=1}^m \chi_k \quad (2)$$

უწოდოთ $G(t)$ ფუნქციის ინდექსი.

განვიხილოთ C_k წირით შემოსაზღვრულ სასრულ D_k არეში ნებისმიერი ζ წერტილი და განვიხილოთ ფუნქცია $G_k(t) = (t - \zeta_k) - \chi_k G(t)$. მაშინ $\ln G_k(t)$ ფუნქციის ყოველი შტრიქნება ცალსახა C_k წირზე. შემოვილოთ კიდევ აღნიშვნები:

$$n_k(\zeta) = \begin{cases} 0, & \zeta \in D_k^{(1)}, \\ -\chi_k, & \zeta \in D_k + C_k; \end{cases} \quad \Gamma_k(\zeta) = \frac{i}{2\pi i} \int \frac{\ln G_k(t) dt}{t - \zeta},$$

$$X_k(\zeta) = (\zeta - \zeta_k)^{n_k(\zeta)} \exp \Gamma_k(\zeta).$$

ჩვენ ვიტყვით, რომ C -ზე განსაზღვრული $G(t)$ ფუნქცია ეკუთვნის $B(C)$ კლასს, თუ: 1) $G(t)$ განსხვავდებულია ნულისაგან და უწყვეტია C_k ($k=1, \dots, m$) წირზე და 2) $X_k(\zeta) \in A_{-\infty, \infty}(C)$, $[X_k(\zeta)]^{-1} \in A_{\infty, \infty}(C)$, $k=1, \dots, m$.

თუ $G_1(t)$ და $G_2(t) \in B(C)$, მაშინ $G_1 G_2 \in B(C)$, ხოლო თუ $G_1(t) \neq 0$ ყველგან C -ზე, მაშინ $G_1(t)/G_2(t) \in B(C)$.

ადვილია აგრძელებული შემოწმება, რომ თუ $G(t) \neq 0$ ყველგან C -ზე და $G(t) \in I(C)$, მაშინ $G(t) \in B(C)$. კერძოდ, თუ $G(t) \neq 0$ ყველგან C -ზე და $G(t) \in H(C)$, მაშინ $G(t) \in B(C)$.

3. განვიხილოთ ახლა შემდეგი ამოცანა: ვიძოვოთ $A_{n+1}(C)$ კლასის ისეთი $\Phi(\zeta)$ ფუნქცია, რომელიც C კონტურზე თითქმის ყველგან აკაყანობლებს პირობას

$$\Phi^+(t) - \Phi^-(t) = \varphi(t). \quad (3)$$

კოშის ტიპის ინტეგრალის ფისებათა შესახებ ი. პრივალოვის [3] კარგად ცნობილი შედეგებისა და აგრეთვე [4] ნაშრომის ზოგიერთი შედეგის გამოყენებით ადვილად დავასკვნით, რომ თუ $n \geq -1$, მაშინ (3) ამოცანის ყველა $A_{n+1}(C)$ კლასის ამოხსნა წარმოიდგინება ფორმულით

$$\Phi(\zeta) = \frac{i}{2\pi i} \int \frac{\varphi(t) dt}{t - \zeta} + \gamma_n(\zeta), \quad (4)$$

ხოლო თუ $n < -1$, მაშინ (3) ამოცანას $A_{n+1}(C)$ კლასში ამოხსნა ექნება მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ

$$\int t^k \varphi(t) dt = 0, \quad k=0, 1, \dots, -n-2, \quad (5)$$

და ამ შემთხვევაში (3) ამოცანას ექნება ერთადერთი ამოხსნა, რომელიც კვლავ (4) ფორმულით წარმოიდგინება (რომელშიც ახლა $\gamma_n \equiv 0$).

⁽¹⁾ შეად. [7].

⁽²⁾ ინტეგრალები ყოველთვის ადებულია C კონტურზე.

(4) ფურიტულიდან გამომდინარეობს, რომ (3) ამოცანის ყოველი $A_{n+1}(C)$ ქლასის მოხსნა ეკუთვნის $A_{n,p}(C)$ ქლასს.

4. R ამოცანა. ვაძლევთ $A_{-1}, p(C)$, $p > 1$ კლასის ისეთი ფუნქცია, რომელიც აითქმის ყველგან C -ზე აქმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$\Phi^+(t) = G(t) \Phi^-(t) + g(t), \quad (6)$$

↳ $G(t) \in B(C)$, $g(t) \in L^p(C)$.

შემოვილოთ ალნიშვნები (1)

$$X(\zeta) = \prod_{k=1}^m X_k(\zeta), \quad Y(\zeta) = [X(\zeta)]^{-1}.$$

ଓঁগুলিও দ্বাম্বৰ্ত্যুপেৰৰা, এমন $X(z) \in A_{-\infty, \infty}(C)$, $Y(z) \in A_{\infty, \infty}(C)$ এৱ, গাৰ-
ড়া অধিসা, তাতক্ষণ্যে প্ৰয়োলগাৰ C -চৰ্ক আলগীলা অধিসি শ্ৰেণীবৰ্ণনাৰ

$$G(t) = Y^-(t)/Y^+(t). \quad (7)$$

Յոյժեա, $\Phi(\tau) \in A_{-1, p}(C)$ առօս (6) պահպանութեան պահպանութեան դա ցանցակեալու պահպանութեան

$$\Omega(\zeta) = \Phi(\zeta) Y(\zeta). \quad (8)$$

მაშინ (6) და (7) ტოლობების გამოყენებით მივიღებთ, რომ თითქმის კველვან C-ზე ადგილი იქვე ტოლობას

$$\mathfrak{Q}^+(t) - \mathfrak{Q}^-(t) = g(t) Y^+(t). \quad (9)$$

ამასთან ჩვენს პირობებში კხადია, რომ $X^+ \in L^p(C)$, $\Omega(z) \in A_{\alpha, \beta, \gamma}(C)$.

ადვილია ჩევნება, რომ პარიქითაც (9) ამოცანის ყოველი $A_{n-1}, p(C)$ კლასის ღ (z) ამოხსნას ფორმულით

$$\Phi(\tilde{\gamma}) = X(\tilde{\gamma}) \Omega(\tilde{\gamma}) \quad (10)$$

შეესაბამება (6) R ამოცანის $A_{-1, p}(C)$ კლასის ამოხსნა.

თუ გავთვალისწინებთ მდ დასკვნას და, გარდა ამისა, (4), (5) ფორმულებს, შეიღებთ, რომ თუ $\lambda \equiv 0$, მაშენ (6) ამოცანის ყველა $A_{-1,p}(C)$ კლასის ამოხსნა წარმოიდგინება ფორმულით

$$\Phi(\tilde{z}) = \frac{X(\tilde{z})}{2\pi i} \int \frac{g(t) dt}{X^+(t)(t-\tilde{z})} + X(\tilde{z}) \gamma_{n-1}(\tilde{z}). \quad (11)$$

თუ $\lambda < 0$, მაშინ (6) ამოცანის $A_{-1, p}(C)$ კლასში ამოხსნაღობის აუცილებელი და საკმარისი პირობება

$$\int_{X^+(t)}^{g(t)} t^k dt = 0, \quad k=0, 1, \dots, -n-1. \quad (12)$$

როცა ეს პირობები შესრულებულია, (6) ამოცანას $A_{-1,p}$, (C) კლასში ექ-
ნება ერთადროთ ამონსა, რომელიც კვლავ (11) ორტმულით შარტმოიდინიბა.

ჩვენ ზემოთ R ამოცანა განვიხილეთ $A_{-1}, p(C)$ კლასში. სავსებით ანალოგიურად განიხილება ეს ამოცანა $A_{n, p}(C)$ კლასშიც, სადაც n ნებისმიერი მოყვარული რიცხვია¹².

¹ $X_k(z)$ ფუნქციის განმარტება იხ. ზემოთ წ 2-ში.

⁽²⁾ ამ შემთხვევაში (10) ფორმულაში ნაცვლად კა-₁ (z) მრავლწევრისა ვინარჩა კა-_{n+1} (z) მრავალწევრი.



ვიგულისხმოთ, რომ (6) სასაჩლერო პირობაში $G(t)$ და $g(t)$ ფუნქციები აკმაყოფილებს ჰელდერის პირობას. მაშინ (10) ფუნქცია იქნება უბან-უბან ჰოლომინტული. ამგვარად: თუ R ამოცანის სასაზღვრო პირობაში მონაწილე ფუნქციები $G(t)$ და $g(t)$ აკმაყოფილებს ჰელდერის პირობას $G(t) \neq 0$, მაშინ R ამოცანის ყოველი A პლასის ამოხსნა უბან-უბან ჰოლომორფული ფუნქციაა.

5. განვიხილოთ ახლა სინგულარული ინტეგრალური განტოლება

$$K^0\varphi \equiv a(t)\varphi(t) + b(t)S\varphi = f(t), \quad (13)$$

სადაც $a(t) - b(t)$, $a(t) + b(t)$ ფუნქციები ეკუთვნის $B(C)$ კლასს და $a^2(t) - b^2(t) \neq 0$ ყველგან C -ზე, $f(t) \in L^p(C)$, $p > 1$, და ამოხსნასაც ვეძებთ აგრეთვე $L^p(C)$ კლასში.

ვთქვათ, $\varphi(t) \in L^p(C)$ არის (13) განტოლების ამოხსნა. ავაგოთ ამ ფუნქციის საშუალებით (1) კოშის ტანის ინტეგრალი. მაშინ სოხოცია-პლე-მელის ფორმულების გამოყენებით მივიღებთ, რომ თოთქმის ყველგან C -ზე

$$\varphi(t) = \Phi^+(t) - \Phi^-(t), \quad S\varphi = \Phi^+(t) + \Phi^-(t). \quad (14)$$

(13) და (14) ტოლობების გათვალისწინებით მივიღებთ, რომ ზემოალნიშნული $\varphi(\zeta) \in A_{-1, p}(C)$ ფუნქცია არის (6) ამოცანის ამოხსნა, რომელშიც ახლა

$$G(t) = (a(t) - b(t))/(a(t) + b(t)), \quad g(t) = f(t)/(a(t) + b(t)) \quad (15)$$

და, მაშინადამე, $G(t) \in B(C)$, $g(t) \in L^p(C)$.

თუ მივიღებთ მხედველობაში უკანასკნელ შენიშვნას და (11), (12) ფორმულებს, ადგილად მივიღებთ, რომ (შეად. [1, 8]) თუ $\lambda \geq 0$ (სადაც λ აღნიშნავს $G(t)$ ფუნქციის ინდექსს, რომელსაც ახლა $K^0\varphi$ ოპერატორის ინდექსსაც ვუწოდებთ), მაშინ (13) განტოლებას ყოველთვის აქვს ამოხსნა $L^p(C)$ კლასში და ყველა ისინი წარმოიდგინება ფორმულით

$$\varphi(t) = K^*f + \alpha(t)b^*(t)\chi_{\lambda-1}(t), \quad (16)$$

სადაც

$$K^*f \equiv a^*(t)f(t) - \alpha(t)b^*(t)S(\alpha^{-1}f), \quad \alpha(t) = [a(t) + b(t)]X^+(t),$$

$$a^*(t) = a(t)/(a^2(t) - b^2(t)), \quad b^*(t) = b(t)/(a^2(t) - b^2(t)).$$

თუ $\lambda < 0$, მაშინ იმისთვის, რომ (13) განტოლებას ჰქონდეს ამოხსნა $L^p(C)$ კლასში, აუკილებელია და საკმარისი $f(t)$ ფუნქცია აკმაყოფილებდეს პირობებს

$$\int f(t)\alpha^{-1}(t)t^k dt = 0, \quad k=0, 1, \dots, -\lambda-1. \quad (17)$$

როცა ეს პირობები შესრულებულია, მაშინ (13) განტოლებას $L^p(C)$ კლასში აქვს ერთადერთი ამოხსნა, რომელიც კვლავ (16) ფორმულით წარმოიდგინება.

ანალოგიურად შეიძლება ვიპოვოთ

$$K^*\psi \equiv a(t)\psi(t) - Sb\psi = f(t) \quad (18)$$

განტოლების ყველა ამოხსნა $L^p(C)$ კლასში (შეად. [1], გვ. 133). სახელდობრ, თუ $\alpha \equiv 0$, მაშინ (18) განტოლებას ყოველთვის აქვს ამოხსნა $L^p(C)$ კლასში და ყველა ისინი წარმოიდგინება ფორმულით

$$\psi(t) = K^*f + \alpha^{-1}(t) \gamma_{-n-1}(t), \quad (19)$$

სადაც $K^*f \equiv a^*(t)f(t) + \alpha^{-1}(t)S(\alpha b^*f)$.

როცა $n > 0$, მაშინ, თუ შესრულებულია ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობა

$$\int f(t) \alpha(t) b^*(t) t^k dt = 0, \quad k=0, 1, \dots, n-1, \quad (20)$$

(18) განტოლებას $L^p(C)$ კლასში ექნება ერთადერთი ამოხსნა, რომელიც ყლავ (19) ფორმულით წარმოიდგინება¹.

6. განვიხილოთ ახლა სინგულარული ინტეგრალური განტოლება

$$K\varphi \equiv K^0\varphi + k\varphi = f(t), \quad (21)$$

სადაც

$$k\varphi \equiv \int K(t, \tau) \varphi(\tau) d\tau,$$

$a(t)$, $b(t)$, $K(t, \tau)$ ფუნქციები $H(C)$ კლასს ეკუთვნის, $a^2(t) - b^2(t) \neq 0$ ყველან გან C -ზე, $f(t) \in L^p(C)$, $p > 1$, და ამოხსნასაც $L^p(C)$ კლასში ვეძება.

როგორც ჩვეულებრივ, $M\varphi$ ოპერატორს ვუწოდოთ $K\varphi$ ოპერატორის მარეგულირებელი ოპერატორი, თუ

$$MK\varphi \equiv \alpha(t)\varphi(t) + \int \frac{\beta(t, \tau)}{|t-\tau|^\gamma} \varphi(\tau) d\tau,$$

სადაც $\alpha(t)$, $\beta(t, \tau)$ უწვევტი ფუნქციებია C -ზე, რომელთაგან $\alpha(t) \neq 0$, ხოლო $\gamma < 1$.

თუ გამოიყენებთ, მაგალითად, ლებეგის ინტეგრალის ერთ მარტივ თვით-სებას, რომელიც აღნიშნულია [4] ნაშრომში, მაშინ ანალოგურად იმისა, როგორც ეს კეთდება უწყვეტ ფუნქციათა სივრცეში (იხ. მაგ., [9]), შეიძლება ჩვენება, რომ $L^p(C)$, $p > 1$, სივრცეში განტოლებაზე $MK\varphi = f(t)$, სადაც $f(t) \in L^p(C)$, კრცელდება ფრედოლმის თეორია.

ამ შენიშვნის შემდეგ, თუ გამოიყენებთ [4] ნაშრომში მიღებულ ზოგი-ერთ შედეგს, შეიძლება დამტკიცდეს (21) განტოლებასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები ანალოგიურად იმისა, როგორც ეს დამტკიცდებულია მაგ., [10, 11] ნაშრომებში. სახელდობრ, ჯერ ერთი, ჩვენს პირობებში ადგილი აქვს ეკვივალენტობის ცნობილ თეორემას (იხ. [10] ან [1], გვ. 156). ამ თეორემიდან მარტივად გამომდინარეობს, რომ თუ (21) განტოლებაში ცნობილი ფუნქციები აკმაყოფილებს H პირობას, მაშინ ამ განტოლების ყოველი $L^p(C)$ კლასის ამოხსნა თითქმის შველგან დაემთხვევა $H(C)$ კლასის ფუნქციას, ხოლო ყოველი უწყვეტი ამოხსნა $H(C)$ კლასს ეკუთვნის.

¹ (16) და (19) ფორმულებიდან გამომდინარეობს, რომ (13) და (18) განტოლებების ყოველი უწყვეტი ამოხსნა ეკუთვნის $H(C)$ კლასს.

გარდა ამისა, სამართლიანია შემდეგი თეორემები:

თომობას 1. ი მის თვეის, რომ (21) განტლება იყოს ამას-
სნადი $L^p(C)$ კლასში, აუცილებელია და საკმარისი

$$\int f(t) \psi_j(t) dt = 0, \quad j=1, \dots, l,$$

სადაც $\psi_j(t)$, $j=1, \dots, l$ არის $K\psi \equiv K^\alpha \psi + \int K(\tau, t) \psi(\tau) d\tau = 0$ განტოლების შროვად დამოუკიდებელ ამონიათი სრული ხასიათის $L^q(C)$, $q=p/p-1$ კლასში.

თომასა 2. თუ \tilde{L} და \tilde{L}' აღნიშნავს სათანადოდ $K\phi=0$ და $K'\phi=0$ განტოლებების წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა რიცხვებს $L^p(C)$ და $L^q(C)$ კლასებში, მაშინ სხვაობა $L-L'$ დამოუკიდებულია $K\phi$ ოპერატორის მხრივ დამახასიათებელ ნაწილზე (ე. ი. $K\phi=\phi$);

ତାଙ୍କୁମାତ୍ର 3. ତୁ କାହିଁରେ କଥା ନାହିଁ ଏହାରେ କଥା ନାହିଁ ଏହାରେ କଥା ନାହିଁ

როგორც ამ წერილის დასაწყისში აღვნიშეთ, ზემოაღნიშნული თეორემების სამართლაანობა¹ $L^2(C)$ კლასის ზემოხევევაში ჩვენ ვაჩერენთ [2] ნაშრომში. ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ გამოქვეყნდა ს. მიხ ლინის ერტული ნაშრომი [12], რომელშიაც, როგორც შედევრი ზოგადი თეორემისა, რომელსაც ავტორი ამტკიცებს წრფივი განტოლებების შესახებ ჰამბერტის სივრცეში, ნაჩვენებია ზემოაღნიშნული 1 და 2 თეორემების სამართლიანობა $L^2(C)$ ფუნქციონალურ სივრცეში². აღნიშნულ ნაშრომში ს. მიხლინს მოჰყავს ზემოაღნიშნული მე-3 თეორემის დამტკიცებაც, მაგრამ, როგორც კონტექსტიდან ჩანს, ამ თეორემის დამტკიცების დროს ავტორი გულისხმობს, რომ I და I' აღნიშნებას სათანადო ერთგვაროვან სინგულარულ განტოლებათა წრფივად დამოუკიდებელ ამოსნათა რიცხვს არა $L^2(C)$ კლასში, არამედ ჰამბერტის აზრით შექვეტ ფუნქციათა კლასში.

[13] ნაშრომში ს. მიხლინმა დამტკიცა ჟემთალიშვილი თეორემების სამართლადანობა $L^2(C)$ სივრცის ჟემთალევაში მაშინაც, როცა (21) განტლების $a(t)$, $b(t)$ კოეფიციენტები უწყვეტია, $a^2(t) - b^2(t) \neq 0$ ყველაზე C -ზე, ხოლო კი საკემით უწყვეტი აღმრადობა. მასთან თეორემა 3 სამართლადანობა ($L^2(C)$ სივრცეში) დამტკიცებულია იმ დაშვებით, რომ თეორემა სამართლადანია, როცა $a(t)$, $b(t)$ ჰალდერის აზრით უწყვეტი აუნიკივეტია.

¹ የልጻኑ በ ምት ማረጋገጫ ነው, እናም C ደህንነት የሚሸፍ ስርዓት የሚያስፈልግ ይችላል.

¹² იმ დაშვებით, რომ C უწყვეტსიმრულიანი კონტურია.

დაბოლოს შეენიშნავთ, რომ ამ წერილში გამოყენებული კამა საშუალე-
ბას გვაძლევს სათანადოდ გინვაზოგადოთ იმემად კირგად ცნობილი შედეგე-
ბი (იხ. [1]) როგორც (6) ამოცანის, ისე (13) განტოლების შესახებ, როცა-
საძიებელ ფუნქციათა რიცხვი მეტია ერთზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ა. რაზმანის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქტორის მოუკიდა 20.10.1950)

დამოღმებული ლიტერატურა

1. Н. И. Мусхелишвили. Сингулярные интегральные уравнения. Москва, 1946.
2. ბ. ხვედელიძე. სინგულარული ინტეგრალური განტოლებები კოში-ლებეგის განსაკუთ-
რებულ ინტეგრალებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII,
№ 7, 1947.
3. И. И. Привалов. Границные свойства однозначных аналитических функций.
Москва, 1941.
4. ბ. ხვედელიძე. კოში-ლებეგის განსაკუთრებული ინტეგრალების ზოგიერთი თვისება.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, № 5, 1947.
5. ლ. შალარაძე. პლეისტო-პრივალევის ფერიების ერთი განსოდადების შესახებ. სა-
ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, № 8, 1947.
6. ლ. მაღარაძე. რიმან-მილბერტის ერთი წრფივი სასახლეებრო ამოცანის შესახებ. სა-
ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, № 9--10, 1947.
7. W. J. Trjitzinsky. Singular integral equations with Cauchy kernels. Trans. of the
American Math., Soc., vol. 60, № 2, 1946.
8. И. Н. Векуа. Интегральные уравнения с особым ядром типа Коши. Труды Тби-
лисского Мат. Инст., т. X, 1941.
9. С. Л. Соболев. Уравнения математической физики. Москва, 1947.
10. И. Н. Векуа. К теории сингулярных интегральных уравнений. Сообщения АН Гру-
зинской ССР, т. III, № 9, 1942.
11. В. Д. Куриадзе. Теория интегральных уравнений с интегралом в смысле глав-
ного значения по Коши. Сообщения АН Грузинской ССР, т. II, № 7, 1941.
12. С. Г. Михали. Сингулярные интегральные уравнения. Успехи математических наук,
т. III, в. 3, 1948.
13. С. Г. Михали. Сингулярные интегральные уравнения с непрерывными коэффици-
ентами. Доклады АН СССР, т. 59, № 3, 1948.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ପ୍ରକାଶକ ନାମ

ଅଭିନବଦ୍ୱୟ ଓ ଶିଳ୍ପିତମାନଙ୍କ ଏହାର ଉପରେ ଆପଣଙ୍କ ଜୀବନକାଳୀନ ପରିପରା ଓ ପରିଚୟ ଦେଖାଯାଇଛି।

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. ქომიერიანმა 20.2.1950)

ტებისათვის, არამედ თანაბარი მნიშვნელობა აქვს ცხოველური, მცენარეული და ბაქტერიული ჭარბობის პროცესის ტიპის ფერმენტებისათვის (ცხრ. 1).

ცხრილი 1

პროცესის ხების ცილების დამშლელი და რძის შემადებული თვისება

| ფერმენტი | ცილების დამშლელი თვისება | რძის შემადებული თვისება |
|--------------------------------|-----------------------------|----------------------------|
| პეპსინი | + | + |
| ქიმოზინი | + | + |
| ტრიფინი | + | + |
| ქიმოტრიფინი | + | + |
| ჰაპანი | + | + |
| პროტეინაზი სორბლის | + | + |
| პროტეინაზი სოიასი | + | + |
| " <i>Solanum eleagnifolium</i> | + | + |
| " <i>Asperula arvensis</i> | + | + |
| " სოკოგბის <i>Panus rufus</i> | + | + |
| " <i>Polyporus squamosus</i> | + | + |
| " სფუარი სოკოგბის | + | + |
| " გორინის ბაქტერიების | + | + |
| თერმოფილური ბაქტერიების | + | + |
| ტაკადისტას | + | + |

მიუხედავად პავლოვის შრომების დამაჯერებლობისა, ზოგიერთი ავტორი, რომელიც ჰამასტებენის ღუალისტურ პოზიციაზე დგას, დღვევანდლამდე განაგრძობს მტკიცებას, რომ ცილების ფერმენტული დაშლა და რძის ფერმენტული შედედება ორი სხვადასხვა ფერმენტის ფუნქციაა; ისინი ცდილობენ სხვადასხვა მეთოდით დაამტკიცონ ამ ფუნქციების დამოუკიდებლობა.

1932 წ. ტაუშერმა და კლაინერმა მათ მიერ გამომუშავებული მეთოდით მიიღეს პეპსინურ აქტივობას მოკლებული ქიმოზინის პრეპარატი რძის შემადებული აქტივობით 1:9000000.

ბერივაშვილი [2] თავისი ცილების საფუძველზე მიიღო ტაუშერმისა და კლაინერის საჭიროადმდევო მონაცემები: მის მიერ მიღებულ ქიმოზინის კრისტალურ პრეპარატს ცილების დამშლელი და რძის შემადებული თვისებები ახასიათებდა.

ა. პავლოვაშვილი [3], შეისწავლა რა კატეპსინის (*Asperula arvensis*-დან მიღებულის) ცილების დამშლელი და რძის შემადებული აქტივობა არის pH-გან დამოკიდებულებით, დაადგინა, რომ კატეპსინის ორი ინიშნული რეაქციის ანტიმუში სხვადასხვა და აქტივური დაასკვნა, რომ კატეპსინის პრეპარატში მოცემულია ორი ფერმენტი.

ცილების პროტეოლინური დაშლა და რძის ფერმენტული შედედება ორი სხვადასხვა რეაქცია და არა აუცილებელი ამ ორი რეაქციის სიჩქარის იგივეობა არის pH-გან დამკიდებულებით.

თუ დღისათვის არ არსებობს ერთნაირი აზრი პეპსინისა და ქიმოზინის ერთობლიობის საკითხზე, ამის მიხედვით შემდეგია: არაა დადგენილი ქიმო-

ზინის მოქმედების ხასიათი რძის ძირითად ცილოგან კომპონენტ კაზენზე და არაა დაღვენილი, თუ მის სა თვისებებთან და ცვლილებასთანაა დაკავშირებული რძის ფერმენტული შედეგება.

II. მოვალეობებისგანმდე ცუდებმა, რომელიც ჩავატარეთ კაზეინის სხვადასხვა პრეპარატის სხსარების პროცესლისზე ქიმიზნინთ შემდეგი მოგვცა: პროცესლიზის პირველ სტადიაში კაზეინი იშლება ორ სხვადასხვა ცილოვან სხეულად შემდეგი სქემის მიხედვით.

კაზეინი → კაზეინი A + კაზეინი B.

თუ კაზეინის იზოწერტილის pH უდრის 4,6 მაშინ მისგან მიღებული ერთ-ერთი ცილოვანი სხეულის—პარვაზეინის ტიპის კაზეინ A-ს იზოწერტილის pH უდრის 5,0, მეორესა კი 4,2.

კაზეინის ორ ცილოვან სხეულად დაშლის რეაქტივასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვიტანოთ პრინციპული მნიშვნელობას ორა დასკვნა:

1. კაზეინის ფურმენტული დაშლის პირველი სტადიას ჰქოლდუქტებს ჭარბობდენ ცილოვანი სხეულები, რომლებიც იზმურებილთან კოაგულირდენ, და ასა პეტრონისმაგარი ნივთიერებანი, როკორც ამას ამტკიცებენ ფარგლერი და უაინი, რეზინიჩენკო და სხვები [5].

2. კაზეინის ნაშილაქები შედგება სხვადასხვა ცილოვანი სხეულებისაგან, როთაც მტკიცდება პროცეს. დანილევა სკის აზრი კაზეინის ჰეტეროგენობის შესახებ, მის მიერ გამოთქმული ჭარბსული საუკუნის 80-იან წლებში.

ပုံစံကြောင်း 2


| | ვან-სლაიკის კახეონი | კაზეინი A | კაზეინი B |
|---|------------------------|-----------|-----------|
| აშლტი % | 15,59 | 16,24 | 15,16 |
| NH ₂ -N (მგ 1 გ ცილაში) | 6,83 | 9,28 | 6,49 |
| მეტავამინა (მლ 0, ₁ n NaOH 1 გ ცილაში) | 9,59 | 8,8 | 15,00 |
| ინდუსტრიულის pH | 4,59 | 4,99 | 4,18 |

კაზეინის ფურმენტული დაშლის შედეგად მიღებული ახალი ცილოვანი სხეულების შესწავლამ გამოარყვია, რომ ეს ცილები ფიზიკური და ქიმიური თვისებებით განსხვავდება როგორც ერთიმეორისაგან, ისე საწყისი კაზეინი-საგან [4,6].

ამრიგად, ქიმოზინის მოქმედება კაზეინზე ქიმიური ხასიათისაა, კაზეინის ნაწილაკში წყდება რაღაც კაფშირები, რის შედეგადაც მიიღება ორი ცალკვანი სხეული მოპირისპირე ქიმიური ფუნქციებით: კაზეინი A, რომელიც pH იზოტერტილის, შეავიანობისა და ამინოჰაჯუფის შემცველობის მიხდვით უფრო ტუტება, და კაზეინი B, რომელიც უფრო მუავური ხასიათისაა, ვიდრე საწყისი კაზეინი (ცხრ. 2, ნახ. 1).

კაზინის სსნარების ელექტრომეტრისული ტიტრირების შეთვალით ონო-გენური ჰელიუმის შესცვლამ გამოარყენა, რომ კაზინი, რომელმაც განიკუ-


და ქიმიოზინის მოქმედება, მეტი მცვავასა და ტუტეს-იკავშირებს, ვიღრე შეუცვლელი კანებინი, რაც იმის მაჩვენებელია. რომ ამ პროცესის დროს ადგილზეს ფუძური და მუკური ჯვალების ერთდროულ ზრდას (ნახ. 2).



No. 1

လောက်စံစိန္တရွှေလွှာ စုစုပေါင်းရွှေလွှာ 5 ဆီ n/250 H₃PO₄ (I), 5 ဆီ n/250 H₃PO₄ + 0,05 ဂ ဒုဇိုင် A (II), 5 ဆီ n/250 H₃FO₄ + 0,05 ဂ ဒုဇိုင် B (I-II).

კაზეინის პროტეინის საწყისი-სტადიის პროცესტების მიმართისპი-
რე ქიმიური ფუნქციები და ფუძური და მედიური ჯვალების ერთდროულ
ზღვა იძლევა საჭურველს დღესეკნეთ: ქიმიის ჰერცელებით კერძების
ნაწილაში იშლება მედიური კაზეინის ცილინდრ კონტრინტრიბუტებს შორის:



COOH და NH₂ ჯგუფების რაოდნენბითი ცვლილებების შესწევლამ კაზინის ორ ცილოვან სხეულად ფერწენტული დაშლის დროს ზორენსერის, ვილშტერისა და ვანსლიანის მეოთხებით დაადასტურა გაძინებელი მოსაზრება. მათ მიმართულებით ჩატარებული ცდების ერთი სერიის შედეგები მოყვანილია მე-3 ცნობილში.


ამ ცდებში ჰამარსტენის კაზეინის 1,5% ხსნარი გვიყავთ 3 ნაშილად:

1. კაზეინის ხსნარის 200 მლ + 2 მლ 2% ქიმიური ხსნარი, ინდეტი-ფირგბული გაცელებით;

2. კაზეინის ხსნარის 200 მლ + 2 მლ 2,0% ქიმოზინის ხსნარი;

3. ისევე, როგორც მეორე ცდაში.

14 საათი ცდის შემდეგ 14—16°C დროს პირველი და მეორე ხსნარებიდან ერთიან და იმავე რაოდენობის მფავას მიხეატებით 4,7—4,8 pH-მდე



ნახ. 2 HCl-ისა და NaOH-ის დაკავშირება კაზეინის (I)
და კაზეინ A-სა და კაზეინ B-ს ნარცისა (II)
მიერ

ილექტონდა კაზეინი. მესამე ხსნარიდან შემქავებით 5,1—5,2 pH-მდე ვლექავდით კაზეინ A-სა და ფილტრატიდან შემდეგი შემქავებით ვლექავდით კაზეინ B-ს, რომელიც სპირტითა და ეთერით დატეშავების შემდეგ ერთმანეთში აირეოდნენ.

მართალია, კაზეინის ხსნარის ქიმოზინით პროტეოლიზის დროს იოგენურ ჯგუფთა ზრდა უმნიშვნელოა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კაზეინის ნაწილაკის ორ ცილოვან სხეულად დაშლის შემთხვევაში არ შეიძლება ადგილო ჰქონდეს ფუნქციონალური ჯგუფების მნიშვნელოვან ზრდას შემდეგი მოსაზრების გამო: თუ ვივარაუდებთ, რომ კაზეინის ერთი მოლეკულის დაშლის დროს წყდება ერთი მეავა ამიდური კაზეინი, მაშინ უნდა განთავისულდეს თითო COOH და NH₂ ჯგუფი. თუ ვივარაუდებთ, რომ კაზეინის

Зондированием ультрафиолетового излучения в воде с концентрацией $0,78 \cdot 10^{-4}$ г/л было установлено, что в воде при температуре 20°C концентрация аммиака NH_3 в 75000 раз превышает концентрацию аммиака NH_4^+ в 188000 раз, т.е. 350000 раз. Концентрация аммиака NH_3 в воде при температуре 20°C равна $0,13 \cdot 10^{-4}$ г/л, а концентрация аммиака NH_4^+ — $0,029 \cdot 10^{-4}$ г/л.

Приложение 3

COOH и NH₃ в воде в присутствии NaOH

| | 0,1 г/л NaOH + 0,1 г/л (гидролизуемый аммиак) | COOH в присутствии 0,1 г/л NaOH | NH ₃ -N (0,1 г/л аммиака) |
|-------------------------------------|---|---------------------------------------|--|
| Соотношение аммиака к аммиаку | 0,34 | 1,41 | 0,98 |
| Контрольный опыт | 1,07 | 0,34 | 1,41 |
| Гидролиз аммиака | 1,26 | 0,40 | 1,19 |
| Аммиак A-ка и аммиак B-ка | 1,62 | 0,40 | 1,22 |

Аммиака в воде, а также в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ гидролизуемого аммиака, определено в присутствии $0,1 \text{ г/л}$ NaOH. Результаты определения показывают, что концентрация аммиака в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ гидролизуемого аммиака в 1,41 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака A-ка, и в 1,22 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака B-ка.

При определении концентрации аммиака в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ гидролизуемого аммиака, определено, что концентрация аммиака в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ гидролизуемого аммиака в 1,41 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака A-ка, и в 1,22 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака B-ка.


III. Контрольные опыты показали, что концентрация аммиака в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ гидролизуемого аммиака в 1,41 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака A-ка, и в 1,22 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака B-ка. Результаты определения концентрации аммиака в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ гидролизуемого аммиака в 1,41 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака A-ка, и в 1,22 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака B-ка.

Таким образом, в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ гидролизуемого аммиака концентрация аммиака в 1,41 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака A-ка, и в 1,22 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака B-ка.

Контрольные опыты показали, что концентрация аммиака в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ гидролизуемого аммиака в 1,41 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака A-ка, и в 1,22 раза выше, чем в воде с концентрацией $0,1 \text{ г/л}$ аммиака B-ка.

ქიმიური კონცენტრაციის მოქმედება კაზეინზე და გარდა კენილი კაზეინის კომულაცია—ეს ორი სხვადასხვა რეაქცია, ორი ფაზა კაზეინის სხნარის ფერმენტული შედეგებისა. ამ პროცესის პირველი ფაზა კერძო შემთხვევა ცილების პროცესის შესრულებისა და შესრულებულის საერთო რეაქციისა; მეორე ფაზა კოლოიდურ-ქიმიური ხასიათისაა. ამ პროცესის დროს წარმოქმნილი კაზეინი—ა კოლოიდურად ნაკლებად სტაბილურია და სხნარიდან კოაგულაციას განიცდის Ca და H იონთა ნაკლები კონცენტრაციის დროს, ვიდრე კაზეინი.

რით აისხნება კოლოიდური სტაბილობის განხსნავება საშუალის კაზეინი-სა და კაზეინ ა-ს სხსნარებს შორის? ცილოვანი სხეულებიდან კაზეინი ელექტროსტაბილური კოლოიდის წარმომადგენელია. იზოწერტილილიდან რუტე მხარეზე ცა კაზეინის ნაშილაკების უარყოფითი ელექტრონმუხტი მცარდება მაკომპენსირებელი კათიონების მიერ. კათიონების კონცენტრაცია კი, რომელიც საჭიროა კაზეინის სხსნარიდან კოაკულაციისთვის, ფუნქციად ხსნარის pH-ისა (ნახ. 3).



ნაშ. 3. I. კაზეინის ზსნარი უფერმენტოდ; II. კაზეინის ზსნარი + ქიმოსინი

ამავე დამოკიდებულებაში იმყოფება კაზეინ A-ს ხსნარის სტაბილობა არის pH-გან კათიონების მოქმედების მიმართ, იმ განსხვავებით, რომ ხსნარის ერთისა და იმავე pH-ის დროს კოაგულაცია კაზეინი A-სი, რომელს იზოტუტილის pH-ის მნიშვნელობა უფრო ჰლალია კაზეინთან შედასტუნობის დრინჯინარეობს Ca და H⁺ იონთა ნაკლები კონცენტრაციის დროს. ფილტრების გარემონტირებაში კაზეინის ხსნარისათვის.

ნახ. 3 გამოსახავს დამოკიდებულებას Ca^{++} მინიმალურ კონცენტრაციაზე, რომელიც საჭიროა კაზეინის კოაგულაციისთვის მისი $0,2\%$ -იანი ხსნარიდან, და ხსნარის pH შორის.

კაზეინის ხსნარის ($\text{pH}-ით < 5,3$) ფერმენტული შედედება, რომელშიაც არ არის ორგალენტოვანი კათიონები, წარმოადგენს აგრეთვე კაზეინის ორ სხვადასხვა ცილოვან სხეულად დაშლის რეაქციის შედეგს, რომელთაგან ერთი (კაზეინი A) კოაგულაციას განიცდის ხსნარის უფრო მაღალი pH მნიშვნელობის დროს, ვიდრე საწყისი კაზეინი:

შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ პიოლოგიური სითხეების ფერმენტული შედედება და ცილის კოაგულაცია ორმული დენარულაციის დროს ცილუბის კომპონენტებად დაშლის შედეგია.

დ ა ს კ ვ ნ ა

ცილების ფერმენტული დაშლა და რძის ფერმენტული შედედება ორი სხვადასხვა სპეციფიკური ფერმენტის ფუნქცია კი არ არის, არამედ კაზეინის ხსნარისა და რძის ფერმენტული ფელატინიზაცია შედეგია კაზეინის პროტეილისური დაშლისა თუ ცილოვან სხეულად, რომელთაგან ერთი (კაზეინი A), რომლის იზოშერტილი გადახრილა ნეიტრალური რეაქციისაკენ, კოლოიდურად ნაკლებად სტაბილურია და ხსნარიდან განიცდის კოაგულაციას Ca^{++} და H იონთა ნაკლები კონცენტრაციის დროს, ვიდრე საწყისი კაზეინი.

ნაქართველოს სსრ მეცნიერებობის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციის მოვერდა 20.2.1950)

დამოუმხასიათებელი დიტირატურა

1. И. П. Павлов. Полное собрание трудов, том II, 1936, стр. 365—412, 422.
2. H. J. Berridge. The purification and Crystallization of rennin. Biochem. Journ. v, 39, 1945, p. 179.
3. А. И. Павлова. К вопросу о химозинном действии катепсина. Труды Ереванского вет. зоотех. института, т. 7, 1941, стр. 54.
4. Ш. Г. Гонашвили. Первая стадия расщепления казеина. Доклады ВАСХНИЛ, в. 5, 1948, стр. 8.
5. М. С. Резинченко и В. А. Ситникова. О лизагрегирующем действии препараторов трипептина. Биохимия, т. 3, 1938, 102.
6. Ш. Г. Гонашвили. Гетерогенность казеина. Сообщения Академии Наук Грузинской ССР, т. 10, № 9, 1949.

ტეოლოგია

D. კახაძე

შეიცვლები ქვაისის რაიონის სამუნიციპალიტეტის შესახებ

(წარმოადგინა აკადემიის ნამდებლმა წევრმა ა. ჯანელიძემ 3.11.1950)

კვაისის რაიონში, რომელიც მდ. ჯეჯორის ხეობაში მდებარეობს, დიდი ხანია მიიპყრო მევლევართა ყურადღება. ამით აისწება, რომ მის გეოლოგიური აგებულება უკვე საკმაოდ არის გამორკეული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი უკანასკნელი წლების გამოკვლევები, რომელის მეოადგით დაზუსტდა რაიონში გავრცელებული ნალექების სტრატიგრაფია [1]. ამან კა საშუალება მოგვცა ახლებურად დაგვესახა რაიონის ტექტონიკური აგებულება.

იქ არსებულ საკმაოდ ორიგინალურ ვითარებაშე უფრო ნათელი წარმოდგენისათვის საჭიროა განვიხილოთ, მოკლედ მანიკ. შედარებით უფრო ფართო რაიონი, რომელიც მდ. ჯეჯორის ხეობის შუა წელს მოციცვეს და რომლის აგებულებაში სხვადასხვა ასაკის ნალექები ღებულობენ მონაწილეობას.

უძველესი ნალექები, ზედა ლიასური თიხაფიქლები და ქვიშაქვები, მცირედაა გავრცელებული, მაგრამ მათზე თანხმობით განლაგებულ ბაიოსურ პორფირიტულ წყებას დიდი მოედანი უკავია და რაიონის ტექტონიკური სტრუქტურის ჩამოყალბებაში გადამწყვეტი როლი შეუსრულებია.

გადარეცხილ პორფირიტულ წყებას უთანხმოდ არის განლაგებული ზედა იურული მასივური კირქვები, ოომლებიც, ცალკეული კლდოვანი ქედობებისა და მწვერვალების სახით, კარგად გამოიყოფან მუქი ფერის პორფირიტული წყების ფონზე. პორფირიტულ წყებას და მასივურ კირქვებს ტრანსგრესიულად მოჰყვებიან ცარცული ნალექები, წარმოდგენილი შრევებრივი კირქვებითა და მერგელებით. ჭრილს ამთავრებს ტრანსგრესიული ეოცენი (ძირითადად ქვიშაქვები).

რაიონი მოქცეულია საქართველოს ბელტის ჩრდილო პერიფერიის ფარგლებში, რომელმაც ბათური ორიგენულისის დროს კონსლიდაცია განიცადა, და შედარებით ვიწრო ამალებული ზოლის სახით მიუვებოდა ბელტს მისი ჩრდილო საზღვრის გასწვრივ. ამიტომ კალვიურმა ტრანსგრესიულმა ზღვამ, რომელმაც უფრო სამხრეთით საკმაოდ ფართო მოედანი დაიყავა, ეს ზოლი ვერ დაფარა და იგი მხოლოდ ოქსფორდულის ბოლოს თუ ლუზიტანიურში ჩაიძირა ზღვაში [2].

იურულის ბოლოს მოხდა ზღვის რეგრესია, რომელიც ანდური ორიფაზისით იყო გამოწვეული, ხოლო ამას მოჰყვა ქვედა ცარცული ზღვის ტრანსგრესია, რომლის შედეგად ზღვით დაფარული აღმოჩნდენ ნაწილობრივ გადარეცხილი პორფირიტული წყება და ზედა იურული კირქვები. ამგვარივე მოელენა

გამეორდა ცარცის ბოლოს და შემდგომ შუა ეოცენის ტრანგრესიულმა ზღვამ დაფარა ომოჩევებული წმილეთი.

იურული ოროვაზისტების შემდეგ რაიონის ტერიტორია იმდენად კონსლიდებული აღმოჩნდა, რომ იყო ოროვანებულ მოძრაობებს ძნელად თუ უპასუხებდა ელასტიკური დეფორმაციით და დაძაბულობების განმუშტევა ძილითადად წყვეტების სახით ხდებოდა.

მეორე მხრივ პორტუინიტულ წყებაზე განლაგებული მასივური კირქვები ცარცის წინ ერთიან საფარის არ წარმოადგენდა და ცალკეული ზოლების სახით იყო გამოხატული. ამის დამადასტურებელი სურათები მეაფიოდ ჩანს სოფ. ფასრალის მიდამოებში, სოფ. ბზითეაუს აღმოსავლეთით მდ. ჯევორის მარცხენა ნაძირზე, სადაც მასივური კირქვების მერიდიანულ ზოლებს შორის ჩაღვებილი ჯერ ცარცის, ხოლო შემდეგ ეოცენის შრეები. მწვ. ნაღარბაზ-ხობის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფერდობებზე, კვაისა-ხობის სამხრეთ ფერდობზე და სხვა პუნქტებში, რომლებშიც მასივური კირქვებისგან შემდგარ ფერდობებს ჩანს ცარცის კირქვით შეცემნტებული ბრექჩიები და კარგებში ჩაღვებილი ცარცული კირქვები.

ამ პირობებში, როდესაც ჩვენს რაიონში, როგორც კარგად არის ცნობილი, დანაოჭებათა ღრმს დაბაძლობები ჩრდილოეთიდან ზოდიოდა და სახელმწიფოსაკენ მიმართულ შესხვეტებებს იწევდა, როგორ უნდა აისხნას აწეული სახელმწიფო ბავშვების მქონე რეგისტრაციის არსებობა?

ჩვენ მიერ მოხაზული სურათიდან უდავოდ გამომდინარებს, რომ აქ ძირითადად ბელტების გადაფილებები გვაქეს, და თუ ამას მიყიდვებთ მხედველობაში, მაშინ ზემოხსენებული წინააღმდეგობა შეიძლება აფეილად იქნეს ასწილილო.

ჩრდილოეთიდან მომდინარე დაძაბულობების გავლენით სუბსტრატი მასზე განლაგებულ ნალექებთან ერთად ცალკეულ ბელტებად ნაწევრდებოდა და ყველი ბელტი ისტრაფოდა შესსლეტილიყო მის სამხრეთი მდებარე ბელტზე. რომელიც, თავის მხრივ, აღმავალ მოძრაობას განიცდიდა. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ბდებოდა, რომ ორი მეზობელი ბელტიდან სამხრეთი ბელტი (მთლიანად ან მისი ერთ-ერთი მხარე) გაუსწრებდა მოძრაობაში ჩრდილო ბელტს და მიიღებოდა სურათი, თითქოს სამხრეთი ბელტი შესსლეტილია ჩრდილო ბელტზე, თუმცა სინამდევილეში აյ მხოლოდ ჩრდილო ბელტის ჩამორჩენას აქვს დღიული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ზემოხსნებული რღვევა, რომლებშიც სამხრეთი ბაგებია აწეული, ამ გზით ხდებოდა.

ჩვენ უკვე კარგი ხანია (1934) შემოვიტანეთ ჭინაღალება, რომ მდგარ დისლოკაციებს, ჩვეულებრივი შესსლეტვებისაგან გასარჩევად, ამის ხლეტვები ეწოდოს.

ამ ჭინასწარი შენიშვნების შემდეგ შევეხოთ საკუთრივ კვაისის რაიონის ტექტონიკურ აგებულებას.

აյ ბაიოსურ პორფირიტულ წყებაზე განლაგებულია ზედა იურული მასიური კირქვები, რომლებიც ქმნიან განედური მიმართულების ზოლს, რომლის სიგანე 60—80 მეტრია. ეს კირქვები, რომლებიც დასავლეთ ნაწილში მწვერვალ კვაისა-ხოხს აგებენ, ამ მიმართულებით მაღლ თავდება ციცაბო კარნიზებით; აღმოსავლეთით კირქვები გადადის მდ. ნადარბაზ-დანის ხეობაზე და მაღლ აგრძოვე ისოლება. კირქვები ჩრდილოეთიდან იუარება ტრანსგრესიულად განლაგებული ქედა ცალკის კირქვებითა და მერგელებით (აპტური), მაგრამ კვაისა-ხოხის სამხრეთ ფერზე მეტიოდ ჩანს, რომ აქაც მათ ცარცის კირქვები ფარავდა (ცარცის კირქვების მცირე ენგი მასიური კირქვების კარგში; ცარცის კირქვით შეცემიტებული მასიური კირქვების ბრექჩიები და სხვა). უფრო აღმოსავლეთით, ნადარბაზევის უბანზე, ამ კირქვების ვაგრძელება ამაღლებულ ზღურბლს იძლევა, რომელსაც როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით ცარცის შრეებრივი კირქვები და ბრექჩიები დღევს. მასიურ კირქვებში შრეებრიობა, ცალია, არ ჩანს. სამშებაროდ, არც მათი შემქმნელი მარჯნების არიენტირებული კოლონიები ან ზრდის პაუზებია შემქმნელული. ამის გამო კირქვების განლაგების ელემენტების დადგენა უშუალოდ არ ხერხდება. მაგრამ შეიძლება მაინც ითქვას, რომ ზოგადად კირქვები ჩრდილოეთისკენა დაქანებული, ხოლ მათი პორფირიტულ წყებასთან სტრატიგრაფიული კონტაქტის დაქანების კუთხე, გომეტრიული აგებით გამოთვლილი, 50° არ უნდა აღმატებოდეს.

სამხრეთიდან ეს კირქვები პორფირიტული წყებით ისაზღვრება. კონტაქტის სიბრტყე შეეულია ეს შემოწმებულია სამთო ნამუშევრებით 265 მ (სილრმედუ) და აშარად ტექტონიკური ხასიათისა. გარდა იმისა, რომ ამ კონტაქტში განვითარებულია ძლიერი დაფარებებისა და მსხვრევის ფართო ზონა, ეს მეტიოდ ჩანს იქიდანაც, რომ მის გასწვრივ პორფირიტულ წყებას აწყდება როგორც მასიური, ისე ცარცული შრეებრივი კირქვებიც, რაც

კარგად არის გამოსახული ნალარბაზევის უბანზე გაყვანილ სამთო ნამუშევრებში.

ეს კვემიუტანელი ფაქტები უდავოდ მოწმობს, რომ ამ რღვევაში აწეულია სამხრეთი ბავე და რომ მისი ზედაპირის თანხვდენას პორფირიტულ წყებასა და მასივურ კირქვებს შორის სტრატიგიკაფულ კონტაქტთან [1] ადგილი არ აქვს—დისლოკაცია აშეარად წყვეტს როგორც მასივურ, ისე ცარცის ზრებებრივ კირქვებს, ხოლო უფრო აღმოსავლეთით ეოცენსაც. კვაისა-ხასის დასავლეთით დისლოკაცია პორფირიტულ წყებაში გადის და აქცემის მიერ მინერალური ძარღვის გადაადგილების საფუძველზე მტკიცედ არის დადგენილი, რომ სამხრეთი ბავეა აწეული.

კირქვების აღწერილი ზოლი ჩრდილოეთიდნაც რღვევით არის მოსახლეობული. ნადარბაძ-დონის ხეობის მარჯვენა ფერდზე კარგად ჩანს, რომ ზემოთ აღწერილ რღვევას, რომელშიც სამხრეთი ბაგეა აწეული, ჩრდილოეთი-საკენ მოჰყება მასიური კირქვები, რომელიც ჩრდილოეთიდნ ცარცის შრეებრივი კირქვებით იფარებათ. უკანასკნელთა დაქანების კუთხე იცვლება 70° -დან 45° -მდე—კლებულობს ზედა შრეებიდან ქვედა შრეებისაკენ. რომელიც მასიურ კირქვებს აწყდებათ. ამრიგად, აქ გვაძეს ზემოალნიშნული ცარცის შრეების აშლილობა მასიური კირქვების კონტაქტში.

ამ ცარცულ კირქვებს ჩრდილოეთიდან ტეპტონიკური კონტაქტით მოჰყვება პორფირიტული წყვება, რომელსაც შემდგა ნორმალურად მოსდება



მასიკური კირქვები. სხლეტების სიბრტყე ვერტიკალურია, აწეულია ჩრდილო ბაგე (ნახ. 1). უფრო აღმოსავლეთით ეს წყვეტა, რომლის სამხრეთ ბაგეში ყველგან ცარცული შრეებრივი კირქვები გვაქვს, თანდათან უახლოვდება სამხრეთ წყვეტას და ნადარბაზ-წვერის აღმოსავლეთ ფერდზე უერთდება მას, რაც კარგად ჩინს აქ გაყვანილ თხრილში.

